სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31/12/2024
2. ფორმა 2 -საქმიანობის შედეგები 31/12/2024
3. სააღრიცხო პოლიტიკა და ასხნა განმარტებითი შენიშვნები

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ინფო-თბილისი“ (შემდგომში ,,კომპანია''), საიდენტიფიკაციო ნომრით 205238152, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრიდა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2008 წლის 24 იანვარს.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი 49

25 % წილის მფლობელი- გიორგი ხოფერია (პ.ნ. 01012015543)

25 % წილის მფლობელი- დავით მგალობლიშვილი (პ.ნ. 01012019305)

25 % წილის მფლობელი- ირაკლი ნასყიდაშვილი (პ.ნ. 01009010576)

25 % წილის მფლობელი- ირინე ნასყიდაშვილი (პ.ნ. 01009002565)

კომპანიის დირექტორი: გიორგი ხოფერია (პ.ნ. 01012015543)

კომპანიის ძირითადი საქმიანობა - ტურისტული მომსახურება (ორგანიზებული შემოყვანა)

მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგრიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიის სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება სააღრიცხვო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშგების პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების გადაფასება ხდება სააღრიცხვო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალში.

აღრიცხვისთვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი სავალუტო კურსები:

	31 დეკემბერი 2024
1 USD/GEL	2.8068
1 EUR/GEL	2.9306

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება - ხელმძღვანელობამ აღნიშული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის შედეგები და ტენდენციები, მიმდინარე გეგმები და მომავლის შესახებ თავისი მოლოდინები ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები - მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (შენიშვნა 1).

სავაჭრო მოთხოვნები - თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების შეფასება გაუფასურებაზე ხდება ყოველწლიურად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

კომპანიის შეფასებით არ არსებობს სხვა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებები. ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად (შენიშვნა 2).

სხვა მოკლევადიანი აქტივები მოიცავს შპს „ინფო-თბილისი"-ს მიერ შპს „ამსტერდამში" (კაფე-ბარი) განხორციელებულ მოკლევადიან ინვესტიციას. (შენიშვნა 3).

სასაქონლო-მატერიალური მარაგები - თავდაპირველად აღირიცხება ღირებულებით, სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს დამატებული სხვა ხარჯები, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. (შენიშვნა 3).

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები - კომპანია იყენებს თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). პერიოდის განმავლობაში ძირითადი საშუალებების მიმდინარე შეკეთება-რემონტი აღიარდება, როგორც მიმდინარე ხარჯი და ჩამოიწერება

მოგება/ზარალის ანგარიშზე, ხოლო მნიშვნელოვანი კომპონენტის ჩანაცვლებისას კომპონენტის ღირებულება კაპიტალიზდება, ჩანაცვლებული ნაწილი კი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების გაუფასურების რაიმე ნიშნები და მათი არსებობის შემთხვევაში.

გრძელვადიანი აქტივების ნარჩენი ღირებულება და მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად, გაითვალისწინება მათი მოსალოდნელი გამოყენება, სავარაუდო ტექნიკური და მორალური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და გარემო, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში იცვლება რეტროსპექტულად.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადის პროპორციულად (შენიშვნა 4).

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები - აღიარდება გარიგების ფასით და მათი შეწყვეტა ხდება სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების და/ან ამოწურვის შემთხვევაში. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო ვალდებულებები აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან ვალდებულებებად. (შენიშვნა 5).

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა - ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წმინდა თანხით ასახვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს შესაბამისი სამართლებრივი უფლება (მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, ურთიერთჩათვლის აქტი).

ამონაგები - მოიცავს კომპანიის ძირითადი და დამატებითი საქმიანობიდან მიღებული / მისაღები ანაზღაურების რეალურ ღირებულებას გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის გამოკლებით (შენიშვნა 6).

ხარჯები - ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები (შენიშვნა 7).

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები - ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

შენიშვნა 1

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2024
ნაღდი ფული სალაროში	0
ფული საბანკო ანგარიშებზე	3273
	3273
სულ	

შენიშვნა 2

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10553
გადახდილი ავანსები	3656
სულ	14209

შენიშვნა 3

მარაგები

	31 დეკემბერი 2024
სხვა მარაგები	609
სულ:	609
სხვა მიმდინარე აქტივები:	65563

შენიშვნა 4

ძირითადი საშუალებები

	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი, ინვენტარი და სხვა ძირ.საშუალებები	შენობები		მიწა	სულ:
თვითღირებულება						
31 დეკემბერი 2023	901512	31724	152496	0	0	1085732
შემოსვლა	454054		0	0	0	454054
გადაფასება						
გასვლა	185912					185912
31 დეკემბერი 2024	1169654	31724	152496	0	0	1353874
31 დეკემბერი 2024						
პერიოდის ცვეთა	-159806	-4598	-7624			-172028
გასვლა		-	-			
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2024	1009848	27126	144872	0	0	1181846

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024
! სავაჭრო ვალდებულებები	98555
სულ :	98555

შენიშვნა 6

ამონაგები

	2024
მომსახურების გაწევიდან	1,594,505
სულ	1,594,505

შენიშვნა 7

კომერციული / ადმინისტრაციული ხარჯები	2024
კომუნალური ხარჯი	19430
დაზღვევა	59218
სამეურნეო ხარჯი	9487
ბანკის საკომისიო	15443
სხვა ხარჯები	7829
სულ	111407

შპს ინფო-თბილისი (205238152)

ფინანსური მენეჯერი:

ირინა ნასყიდაშვილი

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3273	94225	16962
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10553	21099	19569
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3656	3656	3656
მარაგები	609	1396	936
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	609	1396	936
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	65563	35990	36924
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	23212	0
ძირითადი საშუალებები	1181846	1084291	920386
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1265500	1263869	998433
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	98555	3564	2744
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	8000
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	666120	647190	509786
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	418609	559892	424491
სულ ვალდებულებები	1183284	1210646	945021
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	200	200	200
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	52016	-189	53212
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	30000	53212	0
სულ საკუთარი კაპიტალი	82216	53223	53412
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1265500	1263869	998433
სულ მოკლევადიანი აქტივები	1267632	1235355	998433
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1162974	1102254	945021
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0	0

შპს ინფო-თბილისი

ირინა ნასყიდაშვილი

ფინანსური მენეჯერი

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	1594505	1639564
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	1594505	1583498
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	56066
გაყიდვების თვითღირებულება	-1099880	-1029273
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	494625	610291
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-113479	0
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-172028	-188648
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-62177	-42642
იჯარის ხარჯი	-36905	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-111407	-379190
სულ საოპერაციო ხარჯები	-495996	-610480
საოპერაციო მოგება	-1371	-189
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	53387	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	52016	-189
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	52016	-189
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	52016	-189
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	53223	53412
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-23023	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	82216	53223
კვლევისა და განვითარების ხარჯები	0	0

შპს ინფო-თბილისი

ფინანსური მენეჯერი

ირინა ნასყიდაშვილი

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1042963	559625
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-784281	-273762
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-349634	-208600
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-90952	77263
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის	94225	16962
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის	3273	94225

შპს ინფო-თბილისი

ფინანსური მენეჯერი

ირინა ნასყიდაშვილი